



**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა “კ”**



ბრძანება:ბ44. 442523416

თარიღი:22/08/2025

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟიორის შესარჩევი
კონკურსის გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 84¹ და 84² მუხლების, „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის N177 დადგენილებისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცებისა და სტაჟირების მსურველ პირთა შემფასებელი კომისიის შექმნის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 07 ივნისის N: 44.44231586 ბრძანების საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1.გამოცხადდეს სტაჟიორის შესარჩევი კონკურსი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში:

ა. სივრცის დაგეგმარების, ძველთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურში - 2 /ორი/ ერთეული;

ბ. მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში - 3 /სამი/ ერთეული;

გ. კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურში - 1 /ერთი/ ერთეული;

დ. ადმინისტრაციულ სამსახურში - 5 /ხუთი/ ერთეული, აქედან:

- საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილებაში - 1/ ერთი/ ერთეული;
- იურიდიულ განყოფილებაში - 1/ ერთი/ ერთეული;
- სტრატეგიული კომუნიკაციების განყოფილებაში - 1 /ერთი/ ერთეული;
- სერვისების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებაში - 1 /ერთი/ ერთეული;
- ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებაში - 1 / ერთი/ ერთეული;

ე. ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურში - 2/ორი/ ერთეული;

ვ. საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურში - 1 / ერთი/ ერთეული;

ზ. სოციალურ საკითხთა სამსახურში - 2 /ორი/ ერთეული;

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იცის სახელმწიფო ენა;

ბ) სწავლობს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე(დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ან მეორე საფეხურზე ან დასრულებული აქვს უმაღლესი განათლების პირველი ან მე-2 საფეხური 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში;

გ. შერჩევის მნიშვნელოვან კრიტერიუმად განისაზღვროს სტაჟირების მსურველი პირის აკადემიური მოსწრება (ქულათა სისტემა-71-100 ქულის მაჩვენებელი ან/და GPA 2.7-4.0)-გასაუბრებისას თანაბარი კანდიდატების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭოთ უმაღლესი მოსწრების კანდიდატებს;

3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სტაჟიორად არ მიიღება პირი, თუ:

ა) იგი ნასამართლევა განზრახი დანაშაულისთვის;

ბ) იგი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის და დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ გასულა;

გ) მან სტაჟიორად მიღებისას არ წარადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს;

დ) იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ე) თუ სტაჟირების მსურველი პირის მიერ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასში 2022 წლის 1 ნოემბრიდან გავლილი სტაჟირების საერთო ვადა შეადგენს 12 თვეს.

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ **სტაჟირების პერიოდი განსაზღვრულია 2025 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით;**

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასში სტაჟირების მსურველ პირს **სტაჟირების კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარსადგენად განესაზღვროს 2025 წლის 1 სექტემბრიდან 2025 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი.**

6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სტაჟირების მსურველი პირის შეფასება ხდება გასაუბრების საფუძველზე.

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების

განყოფილებამ უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟიორის შესარჩევი კონკურსის გამოცხადება მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით.

8. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟიორის შესარჩევი კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონულად მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე /www.hr.gov.ge/

9. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალეზ პირადად.

10. ბრძანება, შეიძლება, გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო

სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

11. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

12. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

დავითი ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

